

ՀՅՅԴ ԹԱՐԳՄԻՈՒՆ ԸՆԴՈՒՆ ԳՄԵԹ

~~21~~

ՀՅՅԴ
ՓՈՆԴ 287
ԼԻՍՏ 1
ԵԴ. ԽՐ 21

ՀՅՅԴ
ՓՈՆԴ 297
ԼԻՍՏ 1
ԵԴ. ԽՐ 21

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
ԲԱՆԿԱԿԱՆՈՒՄԻ ՄԻՋՈՒԹՅԱՆ
ԿԵՆՏՐԱԿԱՆ ԽՐԱՆԻՄ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ
14 01 25 21

კორექტური შეფარება თუ დაუდევრობა?

ჩვენი გამოცემლობანი ათასობით სახელწოდების წიგნებს უშვებენ, რომლებიც სწრაფად ვრცელდება მრავალრიცხოვან მკითხველთა შორის. მკითხველი მოითხოვს კულტურულად გამოცემულ, ლამაზად გაფორმებულ წიგნს. ამ მოთხოვნებს მისაწვდომად ახალგაზრდობაც აყენებს. მართლაც, რატომ არ უნდა იყოს მათი სახელმძღვანელოები სანიმუშოდ და მიმზიდველად გამოცემული, კორექტურული შეცდომებისაგან დაზღვეული? ყოველმა პედაგოგმა კარგად იცის, რა ძნელი გამოასწოროს ბავშვის მეტყველებასში წიგნიდან დამახინჯებულად შეთვისებული ამა თუ იმ სიტყვის ფორმა. ხშირად მოგვისმენია მოწაფის პასუხი: „წიგნში ასე სწერია, პატივცემულო მასწავლებლო!“ ბავშვს უხსნიან, რომ აქ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ასე სწერია, პატივცემულო მასწავლებლო! ბავშვს უხსნიან, რომ აქ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ასე სწერია, პატივცემულო მასწავლებლო! ბავშვს უხსნიან, რომ აქ კორექტურულ შეცდომასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ წიგნში ასე სწერია, პატივცემულო მასწავლებლო!

გვეტყვიან, წიგნს დართული აქვს შეცდომათა გასწორება, ჯერ შეცდომები უნდა გასწორდეს და მხოლოდ შემდეგ ისარგებლონ წიგნით. მაგრამ საქმე ისაა, რომ წიგნებს ახლავს არა „შეცდომების გასწორება“, არამედ „შემწინეთ შეცდომათა გასწორება“. შეუმჩნეველ შეცდომებზე კი ვინ უნდა აგოს პასუხი? ან რა სარგებლობა მოაქვს ზოგიერთ სახელმძღვანელო წიგნში ჩადებულ იარლიქს: „წიგნში დევიანობის აღმოჩენის შემთხვევაში გთხოვთ დაბრუნოთ წიგნი შესაცვლელად იარლიქთან ერთად“. როგორც ირკვევა, „დევიანობა“ მხოლოდ გახეულ ფურცელს ან უადგილო ადგილას ჩაყრებულ გვერდებს თვლიან (არც ასეთი შემთხვევები იშვიათია!). მაგრამ რა გუყობს უკუბრუნებას დაბრუნებას და მთელ სტრუქტურას, სიტყვიდან ამოვარდნილ მარცვლებს, სიტყვებში ასოების არაპროპორციულად განლაგებას, უხეშ კორექტურულ შეცდომებს და სხვ. ესეც ხომ დევიანობა!

საქმეს ვერ შევლის ის გარემოება, რომ „ჩვენი განწყობილი ვართ აზრიანი სიტყვების კითხვისადმი, ხშირად ვერ ვამჩნევთ წიგნში კორექტურულ შეცდომას და სიტყვას გვითხვლობთ არა ისე, როგორც დაბეჭდილია, არამედ ისე, როგორც უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი“ (პროფ. რ. ნათაძე, „ფსიქოლოგია“, სახელმძღვანელო საშუალო სკოლისათვის, გვ. 60, სახელგამი, 1949 წ.). სწორედ, პროფ. რ. ნათაძის აქ დასახელებული წიგნის მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა უხვად შეიძლება „გაიპაროს“ კორექტურული შეცდომები, რომელთა გასწორებაც ხშირად მოსწავლეებს (გნებავთ მასწავლებელსაც) გაუჭირდებათ. მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დაგვასახელებთ. „ფსიქოლოგია“, ლოვიკისაგან განსხვავებით, ცნების ფსიქოლოგია, ე. ი. ცნება როგორც განცდა, როგორც ფსიქიკის (მინიარსე, ანტირესებს“ (გვ. 128). არც ისე ადვილია იმის გაგება, თუ რა უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი „ფსიქიკის“ ნაცვლად! ხოლო სხვა კორექტურული შეცდომები და ბუნდოვანი ადგილები ასე გამოიყურება: „უმადლეს განვითარებას

ფსიქიკა აღწევს ადამიანის საფეხურზე“ (გვ. 23); „16-ზე ნაკლები სიხშირის რხევა არ წარმოადგენს სმენის გაღიზიანებას, იგი არ იწვევს არაერთგვაროვან შეგრძობას“ (გვ. 29); „გრძნობები დაკავშირებული ირიაან“ (გვ. 179); „არსებობს ნების დაუდებლობა“ (გვ. 195); „მოძიების ფსიქოლოგია“ (გვ. 206) და ა. შ. 68-ე გვერდის უკანასკნელი აბზაცის („დაეუბრუნდეთ შემომოყვანილ მაგალითს“) ბოლო სამი სტრიქონი ორჯერაა დაბეჭდილი, ხოლო 193-ე გვერდზე სიტყვა „ნებისმიერში“ 5 უკუბრუნდა დაბეჭდილი და სხვ.

პროფ. რ. ნათაძის წიგნს ჰყავს კორექტორიც (მ. ჯიჯეიშვილი) და კონტროლიორ-კორექტორიც (ბ. ვამაძე). მით უფრო სამწუხაროა, რომ ამდენი შეცდომათა გაპარული სასკოლო სახელმძღვანელოში.

დასასრულ, ერთი საკითხიც უკვე არა კორექტურული შეცდომების შესახებ. საშუალო სკოლაში, სხვა საგნებთან ერთად, ფსიქოლოგია და ლოგიკაც ისწავლება. წარმოუდგენელია, რომ ერთი და იგივე ცნების აღსანიშნავად მოსწავლეებს დადგენილი ტერმინი არ მიეყაროდ.

პროფ. კ. ბაქრაძე „ლოგიკის“ სახელმძღვანელოში ხმარობს ტერმინს „წინამძღვარი“ მაგალითად: „წინამძღვარს, რომელშიც დიდი ტერმინი შედის, დიდი წინამძღვარი ეწოდება, ხოლო წინამძღვარს, რომელშიც მცირე ტერმინი შედის, მცირე წინამძღვარი“ (გვ. 66, 1949 წ.); ხოლო პროფ. რ. ნათაძე იყენებს ტერმინს „წინამძღვარი“ (ასეა კიდევ მოცემული „სასკოლო ორთოგრაფიულ ლექსიკონში“). „მსჯელობებს, რომელთაც ემყარება დასკვნა წინამძღვრებს უწოდებენ. დასკვნა ან დანასაკვი (1) წარმოადგენს მსჯელობას, რომელიც წინამძღვრებს შორის მიმართების დამყარების საფუძველზე აიკვება“ (გვ. 139).

საკითხავია: რატომ უნდა ჩაეკავილოს უხეშულ მდგომარეობაში მასწავლებელი? ხომ შესაძლებელია მოწაფეები დაეყრდნონ ორივე პატივცემული პროფესორის ავტორიტეტს, დაბეჭდილი წიგნის ავტორიტეტს და ზოგადად „წინამძღვარი“ ირჩიოს და ზოგადად „წინამძღვარი“? მაგრამ ეს გამოიყვანის არ არის, ტერმინოლოგიურად არაა სხვა საგნების სახელმძღვანელოებშიც აქვს ადგილი. განათლების სამინისტრომ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს და ავტორიტეტთან მუშაობის გზით ხელი შეუწყოს სკოლაში მტკიცედ დადგენილ სალიტერატურო-ენის ნორმების დანერგვას. იქნებ მაშინ უფრო გარკვეულიყო, მეცნიერული სიზუსტის დაცვის მიზნით სუცელებელია თუ არა ქართული წინამძღვრების ასეთი გაფორმება: „ამ ცნებების შინაარსები განსხვავდება ერთმანეთისაგან“. „თუნდაც მათი შინაარსები განსხვავებული იყენენ“ („ლოგიკა“, გვ. 22-23) და სხვ.

მკითხველთა ფართო მასები, მათ შორის მოსწავლეებიც, მოითხოვენ ყოველმხრივ გამართულ წიგნს, კერძოდ, კი სახელმძღვანელოს, რომლითაც იზრდება და გონებრივად ვითარდება ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა.

მ. კეკელიძე

თბილისის სკოლების განსწავლავლთა საქალაქო თათბირი

25-27 აგვისტოს ქ. თბილისში, სწავლის დაწყების წინ, ჩატარდა მასწავლებელთა მეთოდური თათბირი, რომელსაც დედაქალაქის მასწავლებელთა აქტივთან ერთად დაესწრნენ სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები, ქალაქის რაიონების განათლების განყოფილებაში გამგეები და სასკოლო ინსპექტორები, პარტოული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. თათბირის პლენარული სხდომა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მოადგიულმა მ. ბ. კივირიამ.

1948-1949 სასწავლო წლის შედეგებისა და 1949-1950 სასწავლო წლის ამოცანების შესახებ თათბირზე მოხსენებით გამოვიდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე მ. ბ. ბარამიძე; პლენარული სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხზე — საკავშირო ვლკ XI ყურდობის დადგენილებთან დაკავშირებით სკოლის ამოცანების შესახებ — მოხსენება გააკეთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგის მოადგიულმა მ. ბ. ჩინჩაიძემ.

სასწავლო წლის პირველი დღიდან დაწყებული, — განაცხადა თავის მოხსენებაში მ. ბ. ბარამიძემ, — სასწავლო-სააღმწერლო მუშაობა გვემართება მიმდინარეობდა. რის გამოც წლის ბოლოს ყველა საგანში და კლასში საკლასო პროგრამები მთლიანად გაედიოდა და განმეორებული, ამან დიდად შეუშუაშელა სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, რაზედაც ნათლად მეტყველებს მოსწავლეთა წლიური აკადემიური წარმატების მაჩვენებლები და წლის ბოლოს ჩატარებული გადასაყვანი და გამოსასვები გამოცდები: 78,33% მოსწავლედან კლასიდან კლასში გადასასვლელად და გამოსასვები გამოცდების შედეგად ყველა საგანში ასწრებს 62,576 მოსწავლე, მათგან ყველა საგანში შეჯამება 5 აქვს 8727 მოსწავლეს, ვერ ასწრებს 15,15% მოსწავლეს. მოსწავლეთა ვერა გაუმჯობესდა და უფრო მეტად გახდა.

შემდეგ მოხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იმ თვალსაზრის მუშაობაზე, რაც გაწეულ იქნა 1949-1950 სასწავლო წლისთვის დედაქალაქის სკოლების ყოველწლიურ მასშტაბებში და იმ უმთავრესი ამოცანების შესახებ, რომლებიც აქვთ დადგენილი სკოლებისა და მასწავლებლობის წინაშე დღეს.

მ. ბ. ჩინჩაიძემ თავის მოხსენებაში ვრცლად შეხერდა თბილისის სკოლებში კომკავშირული და პიონერული მუშაობის მდგომარეობაზე. მან აღნიშნა, რომ ქ. თბილისში აქვთ 90 სასკოლო კომკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც აერთიანებს 9.319 კომკავშირულ მოსწავლეს. კომკავშირული საერთო რიცხვიდან ასწრებს 8.405, ვერ ასწრებს — 728, ხუთოსანია 1.169, 43.660 პიონერიდან ასწრებს 36.312, ვერ ასწრებს 5.688, ხუთოსანია 3.459.

ხშირად განათლების განყოფილებათა ინსპექტორები არკვევენ სკოლის მთლიან მუშაობას, მაგრამ დღემდე არ შეგვისწავლია სკოლაში კომკავშირული მუშაობა. პიონერული მუშაობის შესწავლაც შეიძლება უფრო მეტად. სამწუხაროდ, არც ერთ სასკოლო ინსპექტორს არ შეუძლია თქვას, რომ იგი დაესწრო კომკავშირული ორგანიზაციის კრებას, პიონერთა რაზმის ან რგოლის შეკრებას, ჩასწვდა ამ ორგანიზაციების ცხოვრებას. ნუთუ არ შეიძლება სკოლის მთლიანად

ნი შემოწმების დროს ამ საქმეში მონაწილეობა მიიღონ კომკავშირის რაიონის ან ქალაქკომის მუშაკებმა? შეისწავლონ სკოლაში პიონერული და კომკავშირული მუშაობის გარკვეული უბანი და დაეხმარონ სკოლას ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებაში? კომკავშირისა და განათლების რაიონული და საქალაქო ორგანიზაციების მუშაობა ამ მხრივ უფრო კონკრეტული, ოპერატიული და ქმედითი უნდა გახდეს.

არაიან ისეთი სკოლები, სადაც კომკავშირული და პიონერული მუშაობის პირადად დირექტორები ხელმძღვანელობენ, ეხმარებიან ამ ორგანიზაციების სამუშაო გეგმების შედგენაში, აძლევენ ყოველდღიურ მითითებებს, ესწრებიან შეკრებებსა და კრებებს, რაზედაც პედაგოგიურ კოლექტივს კომკავშირული-პიონერული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისათვის, ამ მხრივ კარგ მაგალითს იძლევა მე-19 ქალთა საშუალო სკოლის დირექტორი მ. ს. მორჩილიძე, რომელიც სკოლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციებს აქტიურად ეხმარება და ხელმძღვანელობს. მსგავს მუშაობას ეწევიან 1-ლი, მე-4, მე-6, მე-11, 22-ე, 23-ე, 25-ე, 26-ე, 31-ე, 35-ე ქალთა მე-2, მე-6, მე-13, მე-19, 24-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე ვაჟთა საშუალო სკოლების დირექტორები.

სამწუხაროდ, ასე არ იქნება ყველა სკოლის დირექტორის შესახებ. ზოგიერთი სკოლის დირექტორი თავის მოვალეობად არ თვლის კომკავშირული-პიონერული მუშაობის ხელმძღვანელობას და ამ საქმეს ფორმალურად ეკიდება. ეს მდგომარეობა უნდა გამოასწორდეს. ხშირად კომკავშირული კრებას არც ერთი მასწავლებელი არ ესწრება. ბევრჯერ პიონერული რაზმის ან რგოლის შეკრება უშინაარსოდ ტარდება, ამას კი კლასის და რაზმის ხელმძღვანელი სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

მოხსენებთა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: კ. ჯორჯიანი (1-ლი ვაჟთა სკოლის დირექტორი), შ. ბზიკაძემ (მე-8 ვაჟთა სკოლის დირექტორი), ა. ებრაელიძემ (სტალინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი), ლ. სტურუამ (მე-7 ქალთა სკოლის დირექტორი), ე. სალუქვაძემ (კომკავშირის კითხვის რაიონის მდივანი), თ. ლაშქარაშვილმა (21-ე ქალთა სკოლის დირექტორი), ი. თოფურიძემ (24-ე ქალთა სკოლის მასწავლებელი), მ. მალაქელიძემ (27-ე ქალთა სკოლის დირექტორი), ი. მელქაძემ (24-ე ქალთა სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე) და ბ. კივირიამ.

თათბირის პლენარულ სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. გ. ზამბახიძე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ბ. ლულაშვილი, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მ. ა. ჯიშიაშვილი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე მ. ბ. ბეროშვილი, აკად. ვ. თოფურია და სხვ.

თათბირმა მოსმენილ მოხსენებთა გამო დასახა სათანადო ღონისძიებანი, რაც სახელმძღვანელოდ დაეგზავნება დედაქალაქის ყველა სკოლას.

პლენარული სხდომის დამთავრების შემდეგ, 26-27 აგვისტოს, ჩატარდა ცალკე სასწავლო დისციპლინების მიხედვით შექმნილი სექციების სხდომები, რაშიც მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის სკოლების მასწავლებელთა უმრავლესობამ.


ა. ნ. რადიშვილისადმი მიძღვნილი გამოფენა

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-მწერლის ა. ნ. რადიშვილის დაბადებულან ორასი წლისთავისადმი.

გამოფენაზე წარმოდგენილ მრავალ ექსპონატთა შორის არის 1790 წელს გამოცემული შრომის — „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ ეგზემპლარი. გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე მწერლის სიცოცხლეში გამოსული მისი სხვა ნაწარებიც. მთელი რიგი მასალები მოგვითხრობენ ამ ბედზე, რომელიც ეწია წიგნის — „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“ პირველ გამოცემებს. ტაბულაზე „ა. ნ. რადიშვილის დაბადებისა და მისი შემოქმედების თა-

ობის“ მოტანილია იხილეთი 1790 წელს გამოცემული პეტერბურგის სისხლის საპარტოლო საქმეების პალატამ რადიშვილს მიუხაჯა სიკვდილი „თავის მოკვეთით“ მაგრამ შევეცაისთან 1790 წლის 4 სექტემბერს დადებულ ზავის ზეიმთან დაკავშირებით რადიშვილს სიკვდილით დაჯდა შეუცვალეს აქონების ჩამორთმევით“ და ციმბირის, ილიმსკის ციხეში ათი წლით გადასახლებით.

გამოფენაზე წარმოდგენილია რადიშვილის ნაწარმოებების საბჭოთა გამოცემები, აგრეთვე 1858 წელს ლონდონში გერცენის მიერ გამოცემული „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“.



„მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“, რომელიც მან 1790 წელს დაბეჭდა თავის სტამბაში. „მოგზაურობაში“ რადიშვილი გამოდის როგორც თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის შეურიგებელი მტერი, როგორც ხალხის ფართო მასების ფეოდალურ-მემამულურ ექსპლოატაციასზე აკებული დამპყრობების უღმობელი მახინჯი და აშკარად მოუწოდებს სახალხო აჯანყებისაკენ, გლეხთა რევოლუციისაკენ, მათი შეიარაღებული ბრძოლისაკენ, თვითმპყრობელობის-ბატონყმობის წყობილების ძალით დაშლისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ თავისი მოღვაწეობით იგი უშუალოდ დაკავშირებული არ არის თავისი დროის გლეხთა ბრძოლასთან და ხალხისაგან შორსა დგას, თავისი შეხედულებითა და იდეალებით იგი გამოხატავს მებრძოლი რუსი ხალხის ფართო მასების რევოლუციურ მისწრაფებებსა და სურვილებს.

რადიშვილმა იცის, ისტორიას არ ახსოვს მ-

ლი კარიერისტები და ხალხის ჯალათები. არა, ისინი პატრიოტები არ არიან, ისინი ადამიანები არ არიან, — აღმფრთხილებით ამბობს მწერალი თავის „საუბარში იმაზე, თუ ვინ არის სამშობლოს შვილი“. „ადამიანი, ადამიანი არის საქირო იმისათვის, რომ მას სამშობლოს შვილი ეწოდოს“.

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-მწერლის ა. ნ. რადიშვილის დაბადებულან ორასი წლისთავისადმი.

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზის შესახებ

„საბჭოთა კლასიკი“ 1949 წ. 1-1X
№ 36

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზის მიზნად პარაფრაზული მოთხრობისა, ჩვენი სკოლის პრაქტიკაში ვერ კიდევ არ ექცევა სათანადო ყურადღება. ბევრჯერ იქ, სადაც მასწავლებელი შედარებით მეტ თეორიულ ლიტერატურულ მომზადებას იჩენს, მიმართავენ მხატვრული ნაწარმოების გეგმის შედგენას, შინაარსის მიხედვით ყოფენ მას ცალკეულ ნაწილებად, ასათურებენ ამ ნაწილებს და ამის საფუძველზე ახდენენ ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივ გარჩევას, გმირთა დახასიათებასა და კლასიფიკაციას. ეს მხატვრული ნაწარმოების იდეურ-თემატიკური და არა კომპოზიციური ანალიზია.

რუსული ლიტერატურის გამოჩენილი მეთოდისტი მ. ა. რიბნიკოვი წერდა: „კომპოზიციის საკითხი ლიტერატურული კითხვის ჩვეულებრივი საკითხი როდია. ის მეტად არსებითი და მნიშვნელოვანი საკითხიდანია. მოთხრობა, პოემა, დრამა როგორც „აგებულება“; და სწორედ ამ აგებულების გაგება, მისი ცოდნა საქმის. ეს არა მხოლოდ ის არის, რასაც ჩვენ გეგმას ვუწოდებთ, ეს ნაწარმოების შინაგანი გეგმა, რთული ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისა და დახლოებული სცენების შორის“.

და საქმეც სწორედ მხატვრული ნაწარმოების ამ რთულ, შინაგან არქიტექტონიკას ეხება, საქმე ეხება იმას, რომ კომპოზიცია გვესმოდეს არა მხოლოდ როგორც უბრალო შეერთება ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილებისა, არამედ როგორც ნაწარმოების თემის გაშლის, იდეის გამოხატვის ძირითადი მხატვრული ხერხები. ჩვენი სკოლის პროგრამა, განსაკუთრებით მე-6-8 კლასებში, კომპოზიციის ცოდნას სწორედ ამ თვალსაზრისით ითვალისწინებს. მასწავლებელმა ლიტერატურულ ტექსტზე მუშაობის პროცესში უნდა შეძლოს გარკვეული მოსწავლეების მხატვრული შემოქმედების თავისებურებაში, მისცეს მათ საფუძვლიანი ცოდნა მოქმედების განვითარების კანონზომიერების, „ტიპურ გარემოში ტიპური ხასიათების“ გამოკვეთის, მხატვრული ხერხებისა და მეთოდების, სიუჟეტური აგებულების ძირითადი საფუძვლების შესახებ.

უამისოდ ძნელია ნათლად, მკაფიოდ დავინახოთ ცხოვრების ის განსვლადობები სურათები და მოვლენები, მწერლის ის მხატვრული ძალა და მიზნობრივობა, რომელიც ყოველ ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებს ახასიათებს.

არა მარტო კომპოზიციის, არამედ ლიტერატურის თეორიის სწავლება ლიტერატურის სწავლების საერთო პროცესში მრავალ სკოლაში ვერ კიდევ არადაამკაფიოვებლად და დაყენებული.

ასეთი მდგომარეობა მოუტევებელია, მით უფრო მას შემდეგ, რაც ჩვენი სკოლის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოებში (მე-6-8 კლასებისათვის) პროგრამის შესაბამისად თანდასრულია ელემენტარული ცნობები და განმარტებები ლიტერატურის თეორიისა; ამავე დროს ჩვენ უკვე მოგვეპოვა ლიტერატურის თეორიის სპეციალური სასკოლო სახელმძღვანელოც (ს. გაჩეჩილაძის), მოწონებული და დამტკიცებული საქართველოს სსრ განათლების მინისტრის კოლეგიის მიერ.

უპირველეს ყოვლისა ისმება კითხვა: რა არის თვით კომპოზიცია? რას ნიშნავს ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზი? რა თანმიმდევრობით უნდა ვასწავლოთ ყოველივე ეს?

ს. გაჩეჩილაძის ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში (გვ. 114) კომპოზიცია ასეა განმარტებული: „კომპოზიცია არის ლიტერატურული ნაწარმოების ცალკეული ნაწილების დალაგება-დაკავშირება მთლიანი მხატვრული ნაწარმოების მისაღებად“; ხოლო მე-8 კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოს 472-ე გვერდზე წერია: „ნაწარმოების ნაწილების წყობას (დალაგებას), ურთიერთკავშირის კომპოზიცია ეწოდება“. ეს განმარტებანი ვერ ამოურყარენ კომპოზიციის ნამდვილ არსს. ყოველი ძლიერი მხატვრული ნაწარმოები ძლიერია კომპოზიციურად. ამიტომ კომპოზიცია—ეს

მწერლის ოსტატობის, მისი შემოქმედებითი პოტენციის, შემოქმედებითი სტილის განმარტებელია. აქედან ცხადია, რომ მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა ნაწილების არა ფორმალური წყობა-დალაგება განსაზღვრავს კომპოზიციის სიმტკიცეს, არამედ მხატვრული ნაწარმოების რთული ორგანიზაციის, მისი აგებულების კანონზომიერებანი, მოქმედების მიზეზობრივი განვითარება და ურთიერთკავშირი, მოქმედ პირთა ხასიათები და ამ ხასიათების გამომწვევი პირობები.

ლიტერატურული ნაწარმოები გარკვეულ მხატვრულ კანონზომიერებაზეა აგებული. ეს კანონზომიერებანი უპირველეს ყოვლისა გამოადინარებენ კომპოზიციის პრინციპებთან. მწერალი ისახავს რა გარკვეულ იდეას და იღებს რა გარკვეულ თემას ცხოვრების სინამდვილიდან, იგი წინასწარ ადგენს ერთგვარ სქემას, გეგმას, რომლის მიხედვით შლის მოქმედებას, მქმნის მხატვრულ სურათებს, სიტუაციებს, მოტივებს, კოლოზებს, ხლორთავს წინააღმდეგობათა კვანძებს და, დასასრულ, დასახული იდეის შესაბამისად, წინასწარ შედგენილი სქემის ძალით, მისთვის საქმის ფინალით ამთავრებს ნაწარმოებს. და აი, ნაწარმოებში ყოველი მოვლენა, მოქმედება, გმირთა ხასიათი ემორჩილება ამ სქემას, სქემით შთანაფიქრ იღებს.

ამის კლასიკური მაგალითია ილია ქაჭავაძის „შესანიშნავი ნაწარმოები“, „ოთარაანთ ქვრივი“. გიორგის ტრაგიკული დაღუპვა ნაწარმოებში წოდებათა შორის არსებული დიდი უფსკრულის ოსტატურად ჩვენების მიზნით მწერლის მიერ წინასწარ დასახული სქემის აუცილებელი შედეგია. განა არ შეიძლება გიორგისათვის სხვა სიტუაცია, სხვა მდგომარეობა შეექმნა ატორს? მაგრამ მაშინ ნაწარმოების ძირითადი იდეა—თავდასწავლობისა და გულგებობის შორის არსებული წინააღმდეგობის ჩვენება—განუხორციელებელი დარჩებოდა. და ჩვენ ვხედავთ, ამ იდეის გამოსაკვეთად რა ფოლადისებური სიმტკიცით ურთიერთობა ნაწარმოებში ერთი თავი მეორეს, როგორ თანდათან მძაფრდება მოქმედება და იკრება იგი ერთ მთლიან სრულყოფილ ლიტერატურულ-მხატვრულ ნაწარმოებად.

ამ შეერთებისა და შეკვრის საფუძველი გმირთა ხასიათებია. „ოთარაანთ ქვრივი“ ჩვენ უპირველეს ყოვლისა გვიჩვენებს არა პიესური და ავტორული მხატვრული სურათები, არამედ თვით ოთარაანთ ქვრივის მტკიცე, შეუღრქველი ხასიათი, მისი პორტრეტული და შინაგანი კდემამოსილებით აღსავსე სახე. კომპოზიციის შემადგენელი ელემენტი—ეს ხასიათი ნაწარმოებში მოცემული ხასიათებია, რომელთა ურთიერთდაპირისპირებისა და შეჯახების ფონზე იწყება თვით მოქმედება. მოქმედებისა და ხასიათების გარეშე არ შეიძლება შექმნას ქვეშეობრივი რეალობის მხატვრული ნაწარმოები, ხოლო იქ, სადაც მოქმედება და ხასიათებია—არის კომპოზიცია. ამიტომ სამართლიანად მოითხოვს პროფ. ლ. ტიმოფევი, რომ „ნაწარმოების კომპოზიციის ანალიზი უნდა მოვალდინოთ მასში გამოხატულ ხასიათებთან განუწყვეტელ კავშირში“.

აქედან ცხადია, რომ მხატვრული ნაწარმოების შესწავლისას აუცილებელია შეგვეძლოს მისწავლეთა ყურადღების გამახვილება არა მეორეხარისხოვან დეტალებზე, არამედ არსებითსა და მთავარზე—მოქმედებაზე, ხასიათზე, ტიპზე, რომელთა საფუძველზე ნათლად ისახება თვით იდეა.

როგორ ან რით დავიწყოთ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზი? რას ითვალისწინებს ჩვენი სკოლის პროგრამა ამ მხრივ?

პირველი ელემენტარული ცნობები კომპოზიციის შესახებ მოსწავლეებს ეძლევათ მეექვსე კლასიდან აქ ნაფარადევი ლიტერატურული კითხვის პროცესში მივაჩივით მოსწავლეები ტექსტის ყურადღებით და მიზნობრივ კითხვას, გამოვუშუთოთ ჩვევა აწარმოონ დაკვირება ნაწარმოების გაშლა-განვითარებაზე, რათა შესძლონ სწორად დაინახონ ნაწარმოების ის ძირითადი ელემენტები — მოვლენა, მოქმედება, სურათი, რომელთა საფუძველზეც იქმნება ტიპი, ხასიათი, ისახება ცხოვრების ცოცხალი სინამდვილე. ამიტომ, რომ კომპოზიციის ცნების განმარტებასთან ერთად პროგრამა ამ კლასში ითვალისწინებს მოსწავლეებისათვის კონკრეტული ცოდნის მიწოდებას ლიტერატურული პერსონაჟის შესახებ.

დედოფ. ამიტომ, რომ კომპოზიციის ცნების განმარტებასთან ერთად პროგრამა ამ კლასში ითვალისწინებს მოსწავლეებისათვის კონკრეტული ცოდნის მიწოდებას ლიტერატურული პერსონაჟის შესახებ.

მოსწავლეები უნდა გავარკვიოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს პორტრეტს, აღწერას, პიესას გმირთა ხასიათების სრულყოფილად დახატვაში. კომპოზიციური ანალიზის პირველი ეტაპი (მე-6-7 კლასები) შეიცავს ნაწარმოების გეგმის შედგენას არა შინაარსის მიხედვით, არამედ მისი მხატვრული ხორცშესხმის თვალსაზრისით. ჩვეულებრივად, ე. ნინოვილის „პალიასტომის ტანს“ შინაარსის მიხედვით ყოველ შემდეგ მთავარ ეპიზოდებად: 1. ფოთის მნიშვნელობა გურული გლეხისათვის; 2. პალიასტომის ტანს; 3. ხეების დამწვრება; 4. დავა ტყის შესახებ; 5. ივანესა და ნიკოს ცხოვრება; 6. ივანესა და ნიკოს დაღუპვა.

ნაწარმოების ასეთი გეგმით დაყოფა აუცილებელია მისი შინაარსობრივი ანალიზისათვის. მაგრამ ჩვენი მუშაობა ნაწარმოებზე ამით თუ ამოვწურეთ, მაშინ იმრდილება ნაწარმოების მეორე მხარე—მისი მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულება. ასეთ მუშაობასთან ერთად მსწავლეებელმა კლასში ნაწარმოების კითხვის პროცესში მოსწავლეთა ყურადღება უნდა მიექცოს მხატვრულ სახეებს და იმ მნიშვნელოვან აღნიშვნებს, რომლებიც ყველაზე მკაფიოდ გადმოგვცემენ თვით გმირის ხასიათს, მდგომარეობას, მოქმედებას. ასეთ დაკვირვებასა და ანალიზს კი კომპოზიციის კომპონენტებად შევყვართ, რაც საშუალებას გვაძლევს დავაღწავლოთ ნათლად მოსწავლეებს ნაწარმოების მხატვრული ძალა.

თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, „პალიასტომის ტანს“ კომპოზიციური გეგმა ასეთი იქნება: 1. ივანეს სახე (პორტრეტი—„ის იყო საშუალო ტანის“...); 2. ივანეს სიყვარული შრომისადმი და მისი ოჯახური მდგომარეობის აღწერა; 3. მამა და შვილის საუბარი იარაღში; 4. ნიკოს სახე („ნიკო ქერა ყმაწვილი იყო“...); 5. ივანეს და ნიკოს ბოძოლა გამძვინვარებულ პალიასტომის ტანს ტალღებთან; 6. ივანეს განცდები დაღუპვის წინ („ივანე სწრაფად წარმოიდგინა თუ რა ჯოჯოხეთი მიელოდა მის ოჯახს დაღუპვის შემდეგ“...); 7. ივანესა და ნიკოს დაღუპვის სურათის აღწერა.

ნაწარმოების ამგვარი კომპოზიციური გარჩევა ღრმად განცდილებებს მოსწავლეებს მოთხრობაში აღწერილ თითოეულ სურათს, მოქმედ პირთა სულიერ მდგომარეობას, გამოიწვევს მათში გმირებისადმი სიმპათიისა თუ ანტიპათიის გრძობას, ხოლო ყოველივე ეს გარკვეულ რიგის ასრულებს ნაწარმოების საფუძვლიანად შესწავლას.

მე-8 კლასში საქმე არ არის ჩამოვადლოთ ლაპარაკი, თუ სად არის ნაწარმოებში ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია და სხვ. ელემენტები.)

ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიციური განხილვის მექანიზმს უნდა უსწრებდეს ნაწარმოების თემისა და იდეის საკითხის გარკვევა. ხშირად ჩვენი სკოლის პრაქტიკაში იკარგება ზეგარი თემისა და იდეის შორის, მოსწავლეები მათ ერთმანეთში აიკვებენ. ამით იქმნება ნიადაგი შემდგომ კლასებში ნაწარმოების ფორმალური ანალიზისათვის.

ნაწარმოების თემისა და მწერლის იდეის შორის არსებობს თანხმობის განსხვავება. იდეა ნაწარმოების ძირითადი მიზანდასახულება, ძირითადი მიმართულება, ამიტომ ის ყოველთვის სოციალურ-კლასობრივი ხასიათის მხატვრულია; თემა ხშირად განსაზღვრავს იდეას; მკაფიოთადა, ილია ქაჭავაძის „განდევლის“ იდეა ასკეტის ცხოვრების აღწერა, იდეა კომპოზიციის უარყოფა, დამოკლება. მაგრამ ხდება პირიქით: ერთი თემა სხვადასხვა მწერლის სხვადასხვა იდეით აქვს გაშლილი. თემა, იდეა ნაწარმოების შინაარსში მუდგანდება. ამიტომ შინაარსი უბრალოდ შევიძლია წარმოვიდგინოთ, როგორც თემისა და იდეის მთლიანობა.

მე-7 კლასში ლიტერატურული ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზი ძირითადად იმავე ფორმით გრძელდება, როგორც მე-6 კლასში. მხოლოდ აქ ეს მუშაობა უფრო გაღრმავებულ და სერიოზულ ხასიათს იღებს. მსწავლეებელი კლასში ნაწარმოების კითხვის დროს მოსწავლეთა ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იმ ადგილებზე, სადაც ყველაზე მძაფრად იგრძნობა მოვლენებისა და მოქმედების მიზეზობრივი კავშირი, ხასიათის სიმტკიცე და ხშირად; მსწავლეებელი უნდა უფითარებდეს მოსწავლეებს ტექსტზე სისტემატური და დამოუკიდებელი დაკვირვების უნარს.

გადავსა ეს მუშაობა უფრო და უფრო რთულდება. კომპოზიციის ცალკეული კომპონენტებიდან გადავიდეთ მის შედარებით რთულ აღნაგობაზე—სიუჟეტური აგებულების

გარკვევაზე, რაც მხატვრული ნაწარმოების ყოველმხრივი გაგება-ათვისების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას წარმოადგენს.

ლიტერატურული ნაწარმოებში სიუჟეტის ოსტატური განვითარება წყვეტს ნაწარმოების მთავარი იდეის წარმატებით გამოხატვის ამოცანას. ხშირად ჩვენი სკოლის პრაქტიკაში ერთმანეთის სინონიმებად გვევლინება კომპოზიცია, სიუჟეტი და ფაბულა. ეს გაიგება ძირითადად ლიტერატურის თეორიულ მოდელს. სხვადასხვა ავტორის სხვადასხვანაირად განმარტავს მათ პროფ. ლ. ტიმოფევი სიუჟეტსა და ფაბულას შორის არსებულ განსხვავებას მოჩვენებითად თვლის და მოითხოვს მისი ერთი მნიშვნელოვანი—სიუჟეტის მნიშვნელობით გაგებას (იხ. „ლიტერატურის თეორია, 1945 წ., გვ. 233-234); „ლიტერატურის თეორია, 1945 წ., გვ. 233-234); ს. გაჩეჩილაძე ფაბულას ლიტერატურული ნაწარმოების მასალის უწოდებს, ხოლო სიუჟეტს—ფაბულის გამოხატვის საშუალებას“, მის „მხატვრულ განსვლადობას“ (იხ. „ლიტერატურის მეთოდების საფუძველი“, 1942 წ., გვ. 86); კ. ი. სოროკინი სიუჟეტს უარყოფს და სიუჟეტის მნიშვნელობას ფაბულაში აქცევს (იხ. ურნალი „ლიტერატურა ვ. სკოლე“, 1940 წ., № 3, გვ. 51-52) და ა. შ. ქართული ენისა და ლიტერატურის მე-10 კლასის პროგრამაში კი ეს ორი ელემენტი ცალ-ცალკეა გამოყოფილი: „სიუჟეტი და ფაბულა“ (იხ. „საშუალო სკოლის პროგრამები. ქართული ენა და ლიტერატურა“, გვ. 61). ყოველივე ამის შედეგად, ცოტა როდი გვხვდება მაგალითები, როცა ერთი მნიშვნელობით იყენებენ სამივე ცნებას—კომპოზიციას, სიუჟეტსა და ფაბულას.

კომპოზიციის გარკვევისას ჩვენ ადვინშივთ, რომ კომპოზიციის ცალკეული ნაწილების შეერთება-შეკვრისათვის გმირთა ხასიათებისა და მოქმედების განვითარების კანონზომიერებებზეა დამოკიდებული. ფაბულად გულისხმობენ მასალას, ამბავს, ჩონჩხს, რომელზეც ნაწარმოები იგუშვება, რა არის სიუჟეტი? თავისთავად ისიც ხომ მოვლენათა და მოქმედებთა განვითარების კანონზომიერებებზეა აგებული, ისიც ხომ მთლიანი, სრულყოფილი მხატვრული ნაწარმოების შექმნის საშუალებაა. ხომ არ იწლება ამით ბუნებრივი ზღვარი სიუჟეტსა და კომპოზიციის შორის? სრულებითაც არა, მათ შორის ხაზგარეშობი განსხვავებაა.

საქმითა ლიტერატურის ფუძემდებელი, გენიალური მწერალი მ. გორკი, ახასიათებდა რა სიუჟეტის მნიშვნელობას აღნიშნავდა, რომ სიუჟეტში გამოხატულებას პოულობს „კვანძი, წინააღმდეგობა, სიმპათია, ანტიპათია და სურათოდ აღნიშნებს ურთიერთდაკავშირებულ, განვითარების ისტორია და ამა თუ იმ ხასიათის ორგანიზაციას“. სიუჟეტი გამოიღობის კომპოზიციიდან და წარმოადგენს ნაწარმოებში მოცემულ მოქმედებთა „კონკრეტულ სისტემას, რომელიც იხსნება გმირთა ხასიათით“ (ლ. ტიმოფევი). სხვათადაც რომ ვთქვათ, სიუჟეტში ყალიბდება თავისი სრულყოფილი ფორმით კომპოზიციურად ერთმანეთთან სწორად დაკავშირებული მოქმედება და ხასიათი, ტიპი და მხატვრული სახე. ყოველ მხატვრულ სრულყოფილ ნაწარმოებში თემა, იდეა, კომპოზიცია, ფაბულა და სიუჟეტი მოცემულია არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ დიალექტიკურ მთლიანობაში. სწორედ ეს მთლიანობა აძლევს ნაწარმოებს იდეურ-მხატვრულ ძალასა და ცხოველყოფილებას.

იმისდამხედვით, თუ რა მიზნები და მიწრავებები ამოძრავებთ მოქმედ პირებს ნაწარმოებში, რა წინააღმდეგობებს ხედავთ ისინი ამ მიწრავებებთან განხორციელების ვახზე, როგორ ურთიერთობაში იმყოფებიან მოქმედ პირები ერთმანეთთან, რა ხასიათსა და მიმართულებას დებულობს მათ შორის არსებული კონფლიქტი და, ბოლოს, რით მთავრდება მათი ცხოვრება—მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტური აგებულება იყოფა სხვადასხვა საფეხურებად, ელემენტებად, ნაწილებად. სიუჟეტის ასეთ ძირითად საფეხურებს შეადგენენ: ექსპოზიცია, კვანძი, კულმინაცია, კვანძის გახსნა, ეპილოგი.

სწორედ ამ სიუჟეტის გამოა, რომ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციური ანალიზი გათვალისწინებულია მე-8 კლასში. ესაა მისი შესწავლის ყველაზე რთული, უკანასკნელი ეტაპი. მხატვრული ნაწარმოების ყოველმხრივი კომპოზიციური ანალიზი პირველ რიგში გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს მივცეთ კონკრეტული, ნათელი წარმოდგენა მხატვრული ნაწარმოების შექმნის პრინციპების, მისი თეორიული საფუძვლების შესახებ. ეს საშუალებას გვაძლევს ლოგიკური თანმიმდევრობის გზით მივიყვანოთ მოსწავლეები იმ ბუნებრივ დასკვნამდე, რომ ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები მწერლის უბრალო ფანტაზიის ან შემთხვევითი მოვლერების ნაყოფი კი არ არის, არამედ ხანგრძლივი, დამაბული შრომისა და აზრთა ქიდილის შედეგია. შემთხვევითი როდია, რომ ილია ქაჭავაძე თავის „აჩრდილს“ 12 წლის განმავლობაში (1859-1871) ამუშავებდა, ხოლო ვენიკოვსკი მწერალმა ლევ ტოლსტოიმ შეიძვერ გადაწერა თავისი უკვდავი „ომი და მშვიდობა“, ხანამ დასასტამბად და საქვეყნოდ გამოიტანა.

1) ჩვენ შედგენა მიგვაჩინა ამ კლასის მშობლიური ლიტერატურის სახელმძღვანელოში კომპოზიციის განმარტებასთან დაკავშირებით ექსპოზიციის, კვანძისა და კულმინაციის გაცნობა-განმარტება. ის მით უფრო შედგენა აქ იმისთვის, რომ ეს ელემენტები სიუჟეტის განვითარების და არა კომპოზიციის. სიუჟეტი, როგორც კომპოზიციის რთული ფორმა, პროგრამით მე-7 კლასიდან ისწავლება.

১০ ১০১০১০১০ ১০১০ ১০১০১০

B ১০১০ ১০১০ ১০১০ ১০১০

শ্রীমত (২) গুণ্ডা

০১.১১.৯৩

গুণ্ডা